



ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სისტემური და ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციის პროექტი

ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარების ფონდი

ბიზნეს გეგმა



მარტი 2016

სარჩევი

გამოყენებული ლიტერატურა.....	3
რეზიუმე	4
1. პროექტის შესახებ	6
სახელმწიფოს მხარდაჭერის მოთხოვნა.....	7
პროექტის მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის.....	8
ბიუჯეტი.....	8
რეაბილიტაცია და სისტემის გამართვა.....	8
ადამიანური რესურსები.....	9
დარგის პოპულარიზაცია.....	9
2. კლინიკების მდგომარეობა და განახლების გეგმა	10
კლინიკების ისტორია და ახლანდელი მდგომარეობა.....	10
კლინიკების განახლების გეგმა	10
3. არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები	12
გაუმართავი გარე ტერიტორია	12
მომველებული სისტემური მეთოდები და მიდგომები.....	12
საცხოვრებელი პირობები და ფიზიკური გარემო.....	13
დაბალფასიანი სამკურნალო მომსახურების არარსებობა.....	13
თანამშრომლები - სხვადასხვა კომპეტენციის ნაკლებობა	14
4. ბიზნესის მოდელი, სტრატეგია და მენეჯმენტი	15
მისია	16
მიზნები.....	16
მენეჯმენტის ძირითადი კომპონენტები	16
ქსელური მართვა	17
საკონსულტაციო საბჭო.....	17
5. დარგის მიმოხილვა	18
ფსიქიკური ჯანმრთელობა	18
ფსიქიკური ჯანმრთელობის დაფინანსება	18
რესურსების განაწილება და სახელმწიფო პროგრამებზე წვდომა	18
მართვა, ზედამხედველობა და ადამიანური რესურსები.....	19
ნარკოლოგია	19
მკურნალობის სტრატეგია და პოლიტიკა.....	19
მკურნალობის სისტემა და ხელმისწვდომობა	20
6. მომსახურება	22
7. ინვესტიციები	24
შეჯამება.....	25

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. "საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის ანგარიში." საქართველო, თბილისი, 2012.

საერთაშორისო ფონდი "კურაციო"; UNDP; Global Initiative on Psychiatry. "ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში: ხარვეზები და შესაძლო გადაჭრის გზები." ივნისი, 2014.

ADDIGE; USAID; SZECH DEVELOPMENT AGENCY. ნარკოვითარება საქართველოში. საქართველოში ადიქტოლოგიის კვლევების განვითარების პროექტი, 2013.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №762 - „ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ - დეკემბერი, 2014

გრაფიკული ჩანართები

ცხრილი 1. პროექტში შემავალი დაწესებულებები, მათი მესაკუთრეები და ადგილმდებარეობა.....7

ცხრილი 2. პროექტში შემავალი კლინიკების რეაბილიტირებული და სარეაბილიტაციო ნაწილების პროცენტული განაწილება..... 11

ცხრილი 3. პროექტში გათვალისწინებულ დაწესებულებებში არსებული მომსახურებისა და პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების ჩამონათვალი..... 23

გრაფიკი 1. ინვესტიციების პროცენტული ჩაშლა წლების მიხედვით..... 24

რეზიუმე

დოკუმენტი წარმოადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სისტემური და ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციის პროექტის ბიზნეს გეგმას. მასში მოცემულია ინფორმაცია კლინიკების არსებული მდგომარეობის შესახებ, კლინიკების განახლების გეგმა, საჭირო ინვესტიციები, დარგში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, ბიზნესის მოდელი, სტრატეგია და მართვა, დარგის მიმოხილვა და განახლებული კლინიკების მიერ შეთავაზებული მომსახურება.

პროექტი გულისხმობს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკოლოგიის პროფილის მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური პრობლემების მოგვარებას პრივატიზაციის გზით, კერძო ინვესტიციების საშუალებით.

პროექტის მიზანია არსებული ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური სტაციონარული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ჰოსპიტალური და ჰოსპიტალგარე სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და მონიტორინგის მექანიზმების შექმნა, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება დახურული ტიპის დაწესებულებებში, ახალი მომსახურებების განვითარება, ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება და დარგის პოპულარიზაცია.

პროექტის სრულყოფა იგეგმება ექვსი წლის ვადაში, კერძოდ 2017-2022 წლებში. პირველი წლის განმავლობაში ჩატარდება დარგის კვლევა და ანალიზი, რის საფუძველზეც, 2018-2022 წლების პერიოდში, განხორციელდება ინვესტიციები შენობების დაგეგმარების, რეაბილიტაციის, აღჭურვის, გარე ტერიტორიის მოწყობის, კადრების გადამზადებისა და სხვ. დასაფინანსებლად. ამ წლების განმავლობაში განსახორციელებელი ინვესტიციის ჯამური მოცულობა 11 500 000 ლარს შეადგენს.

ცენტრალიზებული მართვის პირობებში განხორციელდება სტაციონარული თუ ამბულატორიული სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა მომსახურებების მოდერნიზებისა და ახალი მომსახურებების შექმნის საფუძველზე. პროექტი უზრუნველყოფს რეგიონში სერვისების უწყვეტ მიწოდებას.

სტაბილურად განხორციელდება დაწესებულებებზე ზედამხედველობის, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და საქმიანობის მონიტორინგი; მოხდება კოლეგიალური სუპერვიზიის მექანიზმის შექმნა და დანერგვა.

პროექტის ფარგლებში იგეგმება სამედიცინო მენეჯმენტის დარგში ხარისხის მართვის სერთიფიკატის, კერძოდ კი ISO 9001-ის მიღება. აღნიშნულის სრულყოფას უზრუნველყოფს სპეციალური საკონსულტაციო საბჭო, რომელიც გააერთიანებს საზოგადოების წევრებს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, პროფესიულ ასოციაციებსა და საერთაშორისო ექსპერტებს, რომლებიც შესაბამისი კომპეტენციების საფუძველზე განახორციელებენ საინვესტიციო პროექტის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს, მოახდენენ

იმპლემენტაციის ოპტიმალური გზებისა და პროექტის შემდგომი განვითარება-მართვის მეთოდების შემუშავებას.

2022 წელს, პროექტის დასრულების შემდეგ, სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რეაბილიტირებული იქნება პროფილური სამედიცინო დაწესებულებების, სტაციონარული და ამბულატორიული საქმიანობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად.

1. პროექტის შესახებ

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობისა და წამლდამოკიდებულების სფეროში მომსახურების მიწოდებელი სამედიცინო ცენტრების რეაბილიტაციას, საერთო მმართველობით სისტემაში უნიფიცირებას, ინფრასტრუქტურულ განვითარებასა და კადრების კვალიფიკაციის გაუმჯობესებას. შედეგად სახელმწიფო მიიღებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კლინიკებსა და განვითარებულ, პერსპექტიულ დარგს, კლინიკებში არსებული მწვავე პრობლემების აღმოფხვრის და ეფექტური ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვისა და დაცვის სისტემის შემუშავების საფუძველზე.

კლინიკების განახლების პროექტის ინიციატივა ეფუძნება ამჟამად დარგში არსებული სიტუაციის ანალიზს, რის შედეგადაც გამოვლინდა ის ძირითადი პრობლემები და გადაუჭრელი საკითხები, რომლებიც დიდ დარტყმას აყენებს როგორც პაციენტებს, ასევე სახელმწიფოს.

ინიციატივის ფარგლებში იგეგმება საქართველოში არსებული თორმეტი კლინიკის რეაბილიტაცია. გარდა ინფრასტრუქტურული ცვლილებებისა, კლინიკებში მოხდება ორგანიზაციული ცვლილებები. გასათვალისწინებელია, რომ შესაბამისი შედეგების მისაღებად, საკადრო ცვლილებების განხორციელების ნაცვლად, დაგეგმილია არსებული თანამშრომლების გადამზადება. ასევე, გრძელვადიან პერიოდში, მოსალოდნელია დარგის მიმართ ინტერესის ზრდა და ახალი პროფესიონალების ჩამოყალიბება.

ამჟამად, კლინიკების ძირითადი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ ინფრასტრუქტურულ შეკეთებას. გამომდინარე აქედან, რამდენიმე კლინიკა ვერ ახორციელებს საქმიანობას შესაბამისი ხარისხით, და ვერ უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას საჭირო მოცულობით, ვერ პასუხობს მოსახლეობასა და დარგში არსებულ მოთხოვნას ადექვატურად. ამასთანავე, კლინიკების დიდ ნაწილში არ არის დაცული მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამედიცინო საქმიანობის სანებართვო პირობები. ეს ფაქტი დიდ პრობლემას ქმნის ქვეყნის მასშტაბით, ვინაიდან, დღევანდელი რესურსით ვერ ხერხდება პაციენტების სისტემატური და სტანდარტიზებული მომსახურება.

პროექტის ძირითადი მიზნებია:

- ☐ კლინიკების რეაბილიტაცია
- ☐ კლინიკების ერთი ქსელის ქვეშ გაერთიანება
- ☐ კლინიკების მენეჯმენტის დახვეწა
- ☐ მომსახურების ოპტიმიზაცია კლინიკების მიხედვით, განვითარება და ხარისხის გაუმჯობესება
- ☐ მომსახურების ახალი სტრატეგიით განვითარების შედეგად ხარჯების ოპტიმიზაცია, როგორც სახელმწიფო პროგრამებისთვის ასევე კლინიკებისთვის
- ☐ ახალი მომსახურების დამატება
- ☐ კადრების გადამზადება
- ☐ მედიკამენტების, სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების მოხმარების ნივთების შესყიდვისა და განაწილების ეფექტური სისტემის დანერგვა

სახელმწიფოს მხარდაჭერის მოთხოვნა

პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფოს მხარდაჭერა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც გამოიხატება “ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარების ფონდი”-სათვის კლინიკების გადაცემით. შედეგად, კლინიკები მოექცევა ერთი იურიდიული პირის ქვეშ და შეიქმნება ფსიქიკური ჯანმრთელობისა და წამლადმოკიდებულების კლინიკათა ქსელი, სტანდარტიზირებული, მაღალი ხარისხის მომსახურებით.

კერძოდ, პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია თორმეტი კლინიკის ერთ ქსელში გაერთიანება. ობიექტები განთავსებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რაც გულისხმობს ქვეყნის უდიდესი ნაწილის მოცვას.

კლინიკები, რომელთა გაერთიანებაც იგეგმება სახელმწიფოს მხარდაჭერის შედეგად არის:

	დასახელება	საკუთრება	ადგილმდებარეობა	დამატებითი ინფრასტრუქტურა
1	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი	სახელმწიფო 100%	თბილისი	
2	შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი	სახელმწიფო 100%	თბილისი	
3	შპს რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი	სახელმწიფო 100%	რუსთავი	
4	შპს ალ. ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო	სახელმწიფო 100%	ხაშური	ბორჯომში 3000 კვ.მ
5	შპს ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფო	სახელმწიფო 100%	წალკა	
6	შპს რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო	სახელმწიფო 100%	ბათუმი	
7	შპს ნარკოლოგიური ცენტრი	სახელმწიფო 100%	ხელვაჩაური	
8	შპს თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი	სახელმწიფო 100%	თელავი	1500 კვ.მ
9	შპს ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი	სახელმწიფო 100%	ქუთაისი	1500 კვ.მ
10	შპს ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი	სახელმწიფო 100%	ქუთაისი	
11	შპს სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	სახელმწიფო 100%	სენაკი	
12	შპს თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	სახელმწიფო 100%	თელავი	1500 კვ.მ

ცხრილი 1. პროექტში შემავალი დაწესებულებები, მათი მესაკუთრეები და ადგილმდებარეობა

მოთხოვნა დამატებითი ინფრასტრუქტურის შესახებ განპირობებულია ახალი მომსახურებების დანერგვის საჭიროებით. ხაშურში არსებული ფართობი არ არის საკმარისი ახალი/საჭირო

მომსახურების დასაანერგად, შესაბამისად აუცილებელია ბორჯომში ახალი, დამატებითი კლინიკის შექმნა.

სენაკსა და თელავის კლინიკებზე საინვესტიციო ვალდებულება არ ვრცელდება.

პროექტის წარმატებისათვის და დასახული მიზნების ეფექტურად შესასრულებლად, სასურველია პროექტმა მიიღოს სპეციალური საგადასახადო შეღავათები სახელმწიფოსგან. ამჟამად, არსებული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები გათავისუფლებული არიან დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ს) გადახდისაგან.

“ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარების ფონდი” სახელმწიფოს სთავაზობს ურთიერთსასარგებლო გარიგებას, რაც მდგომარეობს შემდეგში:

სახელმწიფო დააწესებს სპეციალურ შეღავათს პროექტის მოგების გადასახადისგან გათავისუფლების თაობაზე, იმ შემთხვევაში თუ კლინიკების ქსელი აიღებს ვალდებულებას კლინიკების შემდგომი განვითარებისთვის მოახდინოს მოგების სახით მიღებული თანხის სრულად რეინვესტირება.

პროექტის მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის

ბიუჯეტი

დღეს კლინიკების ძირითად შემოსავალს წარმოადგენს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები. კლინიკები არსებული ფინანსური მდგომარეობით ვერ აფინანსებენ განვითარებისა და რეაბილიტაციის პროცესებს, ამიტომ აღნიშნული საკითხების მოგვარებისათვის საჭირო ხდება სახელმწიფოს ჩარევა და მისი ფინანსური რესურსის გამოყენება. შემდგომში, მდგომარეობის გამოსწორებისათვის სახელმწიფოს კვლავ მოუწევს დახარჯოს დიდი ფინანსური რესურსი პრობლემების მოსაგვარებლად.



სურათი 1. საერთაშორისო კლინიკის ექსტერიერის მაგალითი

სწორედ აღნიშნული პრობლემის მოგვარების ალტერნატივაა კლინიკების განვითარების პროექტი. პროექტისათვის ქონების გადაცემით, სახელმწიფო ზემოთ აღნიშნულ ვალდებულებებს გადასცემს პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილ იურიდიულ პირს, რომელიც არამხოლოდ მნიშვნელოვნად შეამცირებს სახელმწიფო დანახარჯს, არამედ სამომავლოდ გადასახადების სახით შეიტანს წვლილს როგორც დარგის, ასევე ზოგადად ეკონომიკის განვითარებაში.

რეაბილიტაცია და სისტემის გამართვა

ამჟამინდელი მდგომარეობით მენტალური ჯანმრთელობის კლინიკების სისტემა გაუმართავია და არ აქვს ორგანიზებული ფორმა, რაც სახელმწიფოს აყენებს ზიანს სხვადასხვა კუთხით. მომსახურების მიწოდება ხდება არაეფექტურად, როგორც პაციენტის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიმართულებით, ასევე



სურათი 2. პროცესების მართვის სტანდარტიზაცია უზრუნველყოფს საერთაშორისო ხარისხის მომსახურებას

ხარჯების ოპტიმიზაციის თვალსაზრისითაც. ასევე, სარეაბილიტაციო და გასაცოცხლებელია კლინიკები, რომელთაგან ზოგიერთი ეფექტურად ვერ ფუნქციონირებს. შესაბამისად სახელმწიფო დანახარჯები ფსიქიატრიულ და წამადლამოკიდებულების მკურნალობის მომსახურებაზე არ იძლევა შესაბამის შედეგს. განახლება-განვითარების პროექტის განხორციელების შემდეგ ყველა კლინიკა განახლდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ხოლო პროცესების მართვის სტანდარტის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს ISO 9001 სერტიფიკატი.

ადამიანური რესურსები

განახლებულ კლინიკებში დასაქმდებიან ადამიანები, რომელთაც აქვთ შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია. სისტემურად ჩატარდება მათი გადამამზადებელი ტრენინგები. დარგის განვითარება მნიშვნელოვნად გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას იმ რაიონებში სადაც ობიექტები მდებარეობს. ეტაპობრივად პროცესში ჩაერთვებიან დარგში არსებული ახალგაზრდა სპეციალისტები, რეზიდენტები და ა.შ.

დღესდღეობით ან წარსულში დასაქმებული და ამჟამად უმუშევარი პროფესიონალები გადამზადდებიან შესაბამისი სისტემითა და პროგრამით, რომ შეძლონ განვითარება და წინსვლა, საკუთარი რესურსის ახლებურად და მეტად ეფექტური გზებით გამოყენება.

დარგის პოპულარიზაცია

არსებობს მოსაზრება, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის დარგი არ არის პოპულარული სამედიცინო სფეროს ახალგაზრდა სპეციალისტებს შორის იმიტომ, რომ დღესდღეობით არ არსებობს საერთაშორისო დონის კლინიკები, სადაც თანამედროვე მეთოდები გამოიყენება. ისინი ვერ ხედავენ ამ დარგის წინსვლას, განვითარებასა და პერსპექტივას, ამიტომაც, უპირატესობას ანიჭებენ განათლება მიიღონ სხვა დარგებში, რომელიც მათი ხედვით სამომავლოდ სტაბილური და განვითარებადია.

კლინიკების განახლება, კადრების გადამზადება, ახალი მომსახურებისა და მეთოდების დანერგვა განაპირობებს სტუდენტების შესაძლებლობას აირჩიონ სასურველი პროფესია და არ დააყენონ საკუთარი წარმატება ეჭვქვეშ.

2. კლინიკების მდგომარეობა და განახლების გეგმა

კლინიკების ისტორია და ახლანდელი მდგომარეობა



სურათი 3. ამჟამინდელი მდგომარეობის მაგალითი

შერჩეული კლინიკებიდან, ძირითადი ნაწილი, არსებული იურიდიული სტატუსით, დაფუძნდა XX საუკუნის 90-იან წლებში. შენობების უმეტესი ნაწილი აშენებულია 50-70-იან წლებში და ზოგიერთ მათგანს დღემდე არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი და არ მომხდარა მათი გადაიარაღება შესაბამისი დანადგარებით. კლინიკების დიდი ნაწილი ამჟამად უკიდურეს მდგომარეობაშია და საჭიროებს კაპიტალურ ინფრასტრუქტურულ ჩარევას. გარდა ამისა, კლინიკების შენობების დაგეგმარება არ აკმაყოფილებს დარგში არსებულ თანამედროვე მოთხოვნებს და ქმნის ადამიანის უფლებების შემლახავ გარემოს.

რამდენიმე კლინიკა სრულად ან ნაწილობრივ განახლდა 2011 წელს, მაგრამ პროექტის მიზნების მისაღწევად და მისი წარმატებულად განხორციელებისათვის აუცილებელია დარჩენილი ნაწილის კაპიტალური რეაბილიტაცია, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სისტემური თვალსაზრისით.

კლინიკების განახლების გეგმა



სურათი 4. გარე ტერიტორიის გამწვანების მაგალითი.

კლინიკების განახლება დაგეგმილია სახელმწიფოს მხრიდან მათი გადმოცემის თარიღიდან და გაგრძელდება ექვსი წლის განმავლობაში.

ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოები ძირითადად ითვალისწინებს არსებული აღჭურვილობის შეცვლას, გარე ტერიტორიის კეთილმოწყობას (პარკების მოწყობა, გამწვანება, სასეირნო ადგილებისა და მოედნების მოწყობა) და შენობების შეკეთებას. შენობების შეკეთება თავის მხრივ მოიცავს:

- ☐ ახალი გათბობა-ვენტილაციის სისტემების მონტაჟს
- ☐ ფასადის განახლებას
- ☐ კარ-ფანჯრის მონტაჟს
- ☐ იატაკის, ჭერისა და შიდა კედლების შეკეთებასა და განახლებას
- ☐ დაგეგმარების ოპტიმიზაციას
- ☐ მომსახურების შესაბამისი სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას



სურათი 5. პალატის კეთილმოწყობის მაგალითი

როგორც ავლიშნეთ, ყველა კლინიკას არ უტარდება კაპიტალური რეაბილიტაცია, ვინაიდან მათი ნაწილი სრულად ან ნაწილობრივ რეაბილიტირებულია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კლინიკების დასახელებას, შენობების რეაბილიტირებული და სარეაბილიტაციო ნაწილებს პროცენტულ ჭრილში.

დასახელება	რეაბ. ნაწილი (%)	სარეაბ. ნაწილი (%)
შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“	100%	0%
შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“	35%	65%
შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“	100%	0%
შპს „ალ. ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო“	0%	100%
შპს „ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფო“	0%	100%
შპს „რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური კლინიკური საავადმყოფო“	60%	40%
შპს "ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი"	100%	0%
შპს „ნარკოლოგიური ცენტრი“	0%	100%
შპს „თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“	60%	40%
შპს „ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“	0%	100%
შპს სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	0%	100%
შპს თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	0%	100%

ცხრილი 2. პროექტში შემავალი კლინიკების რეაბილიტირებული და სარეაბილიტაციო ნაწილების პროცენტული განაწილება.



სურათი 6, 7. კლინიკებში არსებული ვითარება.

3. არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

დღეის მდგომარეობით, საქართველოში არსებულ ფსიქიატრიულ და ნარკოლოგიურ დაწესებულებებში მრავალი პრობლემა დგას, რომელთა უწყურადღებობამ შეიძლება უფრო გააღრმავოს პრობლემის არსი. შესაბამისად, აუცილებელია დროული რეაგირება და შესაბამისი ზომების მიღება პრობლემების გადასაჭრელად.

პროექტის დაგეგმვის პროცესში გამოვლინდა რამდენიმე მთავარი პრობლემა, მათი ჩამონათვალი მოცემულია მომდევნო პარაგრაფებში. ამ სიის არსებობა არ გამოორიცხავს იმას, რომ პროექტის განხორციელების პროცესში გამოჩნდეს დამატებითი პრობლემები, რომელთა მოსაწესრიგებლად ასევე იქნება მიღებული შესაბამისი ზომები.

გაუმართავი გარე ტერიტორია



სურათი 8. გარე ტერიტორიის მოუწყობლობის მაგალითი.

ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური კლინიკების ე.წ. ქრონიკული პაციენტებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სარგებელს წარმოადგენს გამწვანებული და კეთილმოწყობილი ეზო თუ პარკი.

დღეს გარე პერიმეტრის მოწყობის საკითხი მწვავედ დგას. ზოგიერთი კლინიკის გარე ტერიტორია სრულიად მოუწყობელია ან არ აქვს საკმარისი ფართი ეზოსათვის.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა კლინიკის გარე ტერიტორიის შესაბამისი მოწყობა და პაციენტებისათვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნა.

ყველა სტაციონალურ პაციენტს მიეცემა საშუალება სუფთა ჰაერზე გასვლისა და დასვენების. შემოიღობება ყველა ფართი შესაბამისად და გატარდება უსაფრთხოების დაცვის ყველა ზომა.

მოდველებული სისტემური მეთოდები და მდგომარეობა

რამდენიმე კლინიკა ნაწილობრივ ან სრულად რეაბილიტირდა 2011 წელს, მაგრამ განახლება შეეხო მხოლოდ ინფრასტრუქტურულ საკითხებს და ნაკლებად აისახა სისტემურ მდგომარეობაზე. საქართველოს სახალხო დამცველის “საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის ანგარიში”-ში ვკითხულობთ: “დაწესებულებების დიდ უმრავლესობაში კვლავ დამკვიდრებულია მკურნალობის მოძველებული მეთოდები და სამედიცინო პრაქტიკა. მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში აშკარაა გაუარესების ტენდენცია”.



სურათი 9. განახლებული შენობის მაგალითი.

პრობლემა ძალიან მწვავეა და საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას. ვინაიდან პროექტი ითვალისწინებს თანამშრომლების გადამზადებას და ახალი პროგრამებისა და სისტემური მენეჯმენტის მეთოდების დანერგვას, ეს პრობლემა გადაჭრილი იქნება პროექტის განხორციელების პირველივე ეტაპზე. უცხოელ და ქართველ სპეციალისტებთან ერთად, არსებული თანამშრომლები გადამზადდებიან ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური მკურნალობის მიდგომების ახალი ტენდენციების შესაბამისად და აიმაღლებენ კომპეტენციას.

საცხოვრებელი პირობები და ფიზიკური გარემო

მისასალმებელია, რომ განახლებულ კლინიკებში მეტ-ნაკლებად კარგ პირობებს სთავაზობენ პაციენტს. მიუხედავად ამისა, მათ ნაწილში ისევ აქტუალურია მყუდროებისა და პაციენტის კომფორტის პრობლემა.

ეს საკითხი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პაციენტის უფლებების დაცვისა და მათი კომფორტისათვის, არამედ მკურნალობის პროცედურების ეფექტურობისათვის. უფრო მეტიც, პრობლემა პაციენტისათვის შეიძლება გახდეს დამამცირებელი, ცუდი მოპყრობის ტოლფასი, რაც კიდევ უფრო კრიტიკულ სიტუაციას ქმნის.

გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, პაციენტების უსაფრთხოებაზე გათვლილი აღჭურვილობის დეტალები, როგორიცაა ჩამკეტის არარსებობა საპირფარეშოებსა და სააბაზანოებში; გარედან სახელურის მოძრობა და ა.შ. თრგუნავს პაციენტს.

განახლების პროექტი პირველ რიგში გულისხმობს სწორი საცხოვრებელი პირობების შექმნას კლინიკების შეკეთების, მოწყობისა და გადაიარაღების გზით. თითოეულ კლინიკაში, ჩასატარებელი სამუშაოები გაიწერება კონცეფციის მიხედვით. მცირე დეტალებიც კი, იქნება გათვლილი და გაანალიზებული პაციენტების ფსიქოლოგიიდან გამომდინარე.



სურათი 10. დღეს არსებული საყოფაცხოვრებო პირობების მაგალითი.

დაბალფასიანი სამკურნალო მომსახურების არარსებობა

დღესდღეობით, პაციენტების უმრავლესობა კლინიკებს მიმართავს მწვავე პრობლემის დროს და არა დაწყებით სტადიებზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სხვა პრობლემების განვითარებას, როგორიცაა:

- ☐ გადატვირთული საავადმყოფოები
- ☐ მწვავე და ქრონიკული პაციენტების სიმრავლე
- ☐ მომსახურების შეზღუდვა
- ☐ რესურსის ნაკლებობა ყველა პაციენტის მომსახურებისათვის

პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია პაციენტების ინფორმირებულობა, თუ როდის უნდა მიაკითხოთ ფსიქიკური ჯანმრთელობის კლინიკებს, რა სტადიაში რა დახმარების გაწევას სთავაზობენ ისინი და ა.შ. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მრავალი ისეთი აქტივობების განხორციელება, რომელიც პრობლემას აღმოფხვრის.

თანამშრომლები - სხვადასხვა კომპეტენციის ნაკლებობა

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში დაინერგა რამდენიმე პროგრამა თანამშრომელთა გადამზადებისთვის, თანამშრომლების კომპეტენციებისა და ახალი მიდგომების შესაბამისი ცოდნის დონე მაინც დაბალია. ძირითადი პრობლემები იქმნება შეძენილი პროფესიული უნარების პრაქტიკაში დანერგვის მხრივ.

განახლების პროექტი თავის თავში მოიცავს გადამზადების პროექტსაც. თითოეული თანამშრომელი გადამზადდება შესაბამის დარგში და თეორიულთან ერთად, შეისწავლიან პრაქტიკულ მეთოდებს ცოდნის მართვასა და დანერგვასთან დაკავშირებით.

4. ბიზნესის მოდელი, სტრატეგია და მენეჯმენტი

ამჟამად, კლინიკები საქართველოს მასშტაბით არიან სახელმწიფოს მფლობელობაში.

პროექტის ხედვაა გააერთიანოს ყველა შერჩეული კლინიკა ერთი ქსელის ქვეშ და მოახდინოს მათი ერთობლივი, სისტემური მართვა, რაც არსებული მართვის სტილთან შედარებით, ბევრად ეფექტური იქნება.

კლინიკების ქსელის ძირითადი პაციენტები იქნებიან სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე პირები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქიატრიულ და ნარკოლოგიურ მკურნალობას.



რუკა 1. კლინიკების ქსელი გავრცელება

პაციენტებს, პროექტის განხორციელების შემდეგ, მიეწოდებათ ყველა საჭირო მომსახურება, რომელთა ნაწილიც იქნება ტრადიციული, ხოლო ნაწილი ინდივიდუალურად პაციენტის საჭიროებებზე მორგებული. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინდივიდუალურ კლინიკებში კონკრეტული მომსახურების მიწოდების საჭიროება დადგინდება წინასწარ

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე. ეს ანალიზი გულისხმობს კონკრეტულ

რეგიონში მომსახურების მიწოდების საჭიროების დონეს. ძირითადი გადაწყვეტილება მიღებული იქნება უკიდურეს და საშუალო დონის საჭიროებებზე.

კლინიკათა ქსელის ძირითადი პარტნიორები იქნებიან საქართველოს მთავრობა და სხვადასხვა მომსახურების მიღების თაობაზე, კლინიკების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილე დაწესებულებები, რომლებიც ქსელს მოამარაგებენ მედიკამენტებით, სამედიცინო აღჭურვილობითა და სხვა საჭირო პროდუქციით.

როგორც უკვე ავლინშნეთ, პროექტი მოიცავს საქართველოს რეგიონების დიდ ნაწილს. ესენია:

- ☐ კახეთი
- ☐ თბილისი
- ☐ ქვემო ქართლი
- ☐ შიდა ქართლი
- ☐ იმერეთი
- ☐ სამეგრელო-ზემო სვანეთი
- ☐ აჭარის არ

მისია

პროექტის მისიაა განაახლოს და განავითაროს საქართველოში არსებული მენტალური ჯანმრთელობის დარგში არსებული სისტემა, რის შედეგადაც გაიზრდება ცნობადობა და ხელმისაწვდომობა ფსიქიატრიულ და ნარკოლოგიურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერვისებზე. პაციენტები იქნებიან მეტად ინფორმირებული, მათ მიეცემათ საშუალება აკონტროლონ საკუთარი მენტალური ჯანმრთელობა და დაიწყონ პრობლემის აღმოფხვრა მისი გაჩენის მომენტიდან და არა უკიდურესი სიმპტომების გამოვლენის შემდეგ.

პროექტისთვის მნიშვნელოვანია უკეთესობისკენ შეიცვალოს პაციენტებთან დამოკიდებულებისა და მოპყრობის ჩვევები, ვინაიდან აუცილებელია ჩამოყალიბდეს ნდობა, პატივისცემა, კონფიდენციალურობა, თანაგრძნობა და მადლიერება პაციენტებსა და კლინიკების თანამშრომლებს შორის.

მიზნები

კლინიკების ქსელის მიერ შეთავაზებული მომსახურების მუდმივი განვითარება, გაძლიერება და გაუმჯობესება:

- ☐ კლინიკებს შორის სტრატეგიული ალიანსების განვითარება
- ☐ თანამშრომლების გადამზადება და შესაბამისი კომპეტენციისა და ცოდნის დასაგროვებლად
- ☐ დაბალფასიანი სერვისების შეთავაზება
- ☐ შეთავაზებული მომსახურებების მრავალფეროვნება

ცენტრის გაძლიერება და მაღალი სტანდარტებისკენ სწრაფვა:

- ☐ მომსახურების გაძლიერება თანამშრომლების გადამზადების საფუძველზე
- ☐ პაციენტთა და მათი ოჯახის წევრთა კმაყოფილების კონტროლი და ანალიზი
- ☐ კმაყოფილების კრიტერიუმების მუდმივი შეფასება: ხელმისაწვდომობა, გარემო ფაქტორები და მკურნალობასთან დაკავშირებული ფაქტორები
- ☐ ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის გაძლიერება
- ☐ ISO 9001 სერტიფიკატის მიღება ხარისხის მართვის სფეროში
- ☐ კოლეგიალური სუპერვიზიის მექანიზმის შექმნა და იმპლემენტაცია

მენეჯმენტის ძირითადი კომპონენტები

მენეჯმენტის წარმატებისათვის გამოყენებული იქნება არსებულისგან სრულიად განხვავებული, ახალი და თანამედროვე მეთოდები. ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარების ფონდის ხედვის მიხედვით მენეჯმენტის წარმატების უმთავრესი კომპონენტები არის ქსელური მართვა და დამოუკიდებელი საკონსულტაციო საბჭოს შექმნა.

ქსელური მართვა

ქსელური მართვა გულისხმობს კლინიკების ერთი სამმართველო საბჭოს ქვეშ გაერთიანებას და მათი ორგანიზებული ფორმით ოპერირებას, მათ შორის სტრატეგიული კავშირების განვითარებას და ჯვარედინ მომსახურებას.

ამჟამად, ინდივიდუალური კლინიკები იმართება ცალკეული პირების მიერ და არ არსებობს მათი მართვის ორგანიზებული სტრუქტურა, რაც ასუსტებს თითოეული კლინიკის განვითარების პროცესს.

ვინაიდან, კლინიკების მომსახურებები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, ჯვარედინი გაყიდვებისათვის მნიშვნელოვანია მათ შორის მჭიდრო კავშირების და სწორი კომუნიკაციური საშუალებების დანერგვა, რაც ძალიან რთული და თითქმის მიუღწეველია ინდივიდუალური მართვის პირობებში.

საკონსულტაციო საბჭო

საკონსულტაციო საბჭოში დაკომპლექტდება სხვადასხვა მიმართულებით დარგისათვის მნიშვნელოვანი ორგანიზაციების წარმომადგენლებით, როგორიცაა:

- ☐ არასამთავრობო ორგანიზაციები
- ☐ პაციენტთა სათემო ორგანიზაციები
- ☐ სახალხო დამცველის აპარატი
- ☐ სახელმწიფო დაწესებულებები
- ☐ სხვა დაინტერესებული პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ დარგთან

საბჭოს მთავარი როლი იქნება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, როგორიცაა:

- ☐ კლინიკების ფუნქციური დაგეგმარება
- ☐ მომსახურების განვითარება
- ☐ ახალი პროგრამების დანერგვა
- ☐ მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვა
- ☐ კლინიკების მართვის მიდგომების დახვეწა
- ☐ კლინიკების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება
- ☐ საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების პროცესში აქტივობების იმპლემენტაციის გეგმის შემუშავება
- ☐ მწვავე პრიორიტეტული პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა და შესრულების მონიტორინგი ცალკეული კლინიკების ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციის პროცესში სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება.

5. დარგის მიმოხილვა

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს მნიშვნელობას ჯანდაცვისა და ეროვნულ პოლიტიკაში ხაზს უსვამს შემდეგი გარემოებები:

- ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრაში ფსიქიკურ ჯანმრთელობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რასაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ჯანმრთელობის დეფინიციაც მოწმობს – „ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ დაავადებების არარსებობა”
- საქართველოში ნეიროფსიქიკური დაავადებები მოსახლეობის საერთო ავადობის ტვირთის 22,8 %-ს შეადგენს, რაც იმდენად მაღალია, რომ ადეკვატურ მართვასა და ყურადღებას საჭიროებს
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები მნიშვნელოვან და უარყოფით გავლენას ახდენს სიცოცხლის ხარისხზე, განსაკუთრებით, შრომისუნარიან მოსახლეობაში, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება ამ ჯგუფში შრომისუნარიანობის დაქვეითების გამო

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაფინანსება

ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ჯამურად ჯანმრთელობაზე დახარჯულ თანხებთან მიმართებაში ფსიქიატრიულ ჯანმრთელობაზე დახარჯული თანხების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად არ იცვლება.

საქართველოს მსგავსი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში, ერთ სულ მოსახლეზე გაწეული ფსიქიკური ჯანმრთელობის დანახარჯი მნიშვნელოვნად განსხვავებულია. სხვა ქვეყნებში გაცილებით მეტი თანხა იხარჯება ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში სტაციონალურ მომსახურებაზე ჯამურად გამოყოფილი თანხის უდიდესი ნაწილი იხარჯება, რაც 2006-2014 წლებში საშუალოდ 70%-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში მეტი თანხა იხარჯება ჰოსპიტალგარე მომსახურებაზე, ხოლო სტაციონალურ მომსახურებაზე გამოყოფილია ჯამური თანხის 9-31%.

რესურსების განაწილება და სახელმწიფო პროგრამებზე წვდომა

2014 წლის მონაცემებით, საქართველოში 18 ფსიქიკური ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი ფუნქციონირებდა, რომელთაგან მხოლოდ ხუთი დაწესებულება სარგებლობდა შშმ პირთა ფსიქოლოგიური ექსპერტიზის სტატუსით, რაც თავის მხრივ რეგიონული ხელმისაწვდომობის ბარიერს ქმნის.

მწირი რესურსების ფონზე შექმნილია მომსახურების კრიზისული ინტერვენციის კომპონენტი, რომელიც ამბულატორიისთვის გამოყოფილი თანხის 20%-ს იკავებს და ახასიათებს შეზღუდული ხელმისაწვდომობა - ემსახურება მხოლოდ 4 რეგიონს.

მართვა, ზედამხედველობა და ადამიანური რესურსები

ფსიქიკური ჯანმრთელობა განსაკუთრებულ მართვა/ზედამხედველობის მიდგომებს მოითხოვს. სახელმწიფო პროგრამების ზედამხედველობის სისტემები არ არის მორგებული ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, ეს სისტემები არ ითვალისწინებს ხარისხის კონტროლს და ძირითადად მიმართულია ფინანსური კონტროლისაკენ.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა პროგრამით მოსარგებლეთა საერთო ბაზა, რაც კარგი საწყისია, მაგრამ ეს სისტემა არ იძლევა ძირეული ანალიზის საშუალებას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მომსახურების ოპტიმიზაციისთვის და მენეჯმენტის მიდგომების შემუშავებისთვის.

ასევე პრობლემას წარმოადგენს შესყიდვების მართვა.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფერო ადამიანური რესურსის მწვავე ნაკლებობას განიცდის, რაც ციფრებში გამოიხატება სულ მცირე 250 ფსიქიატრის დეფიციტით. კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა სხვა კადრების მიმართ.

ნარკოლოგია



სურათი 11. დღეს არსებული საყოფაცხოვრებო პირობების მაგალითი.

წამლდამოკიდებულების მკურნალობის სისტემა საქართველოში განვითარების პროცესშია. უკანასკნელ ათწლეულში დაიწყო და ვითარდება ოპიოიდებით ჩანაცვლებითი მკურნალობა.

ქვეყანაში ჯერ არ არსებობს წამლდამოკიდებულ პირთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ინფრასტრუქტურა, თემზე დაფუძნებული სარეაბილიტაციო სერვისები და თერაპიული კომუნები. ქვეყანაში ასევე არ არის ცენტრალიზებული, სარწმუნო და ვალიდური მონაცემთა ბაზა წამლდამოკიდებულების

მკურნალობის სერვისების მოსარგებლეებზე.

მკურნალობის სტრატეგია და პოლიტიკა

მკურნალობასთან დაკავშირებით ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტში შემდეგი კონკრეტული ამოცანებია გაწერილი:

- წამლდამოკიდებული პირებისთვის მტკიცებულებაზე დაფუძნებული მკურნალობის მიწოდება, რაც მათ სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ საჭიროებებს დააკმაყოფილებს
- ზიანის შემცირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებლებისთვის მკურნალობის, რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირების შესაძლებლობების უზრუნველყოფა

მკურნალობის სისტემა და ხელმისაწვდომობა

საქართველოში წამალდამოკიდებულების მკურნალობის მომსახურების სხვადასხვა წყარო არსებობს:

- ☐ სახელმწიფო დაწესებულებები
- ☐ კერძო კლინიკები
- ☐ არასამთავრობო სექტორი

მკურნალობის ძირითადი ტიპები:

- ☐ აბსტინენციაზე ორიენტირებული ამბულატორიული
- ☐ აბსტინენციაზე ორიენტირებული სტაციონალური
- ☐ მკურნალობა (დეტოქსიკაცია)
- ☐ ჩანაცვლებითი თერაპია
- ☐ მოკლევადიანი პირველადი რეაბილიტაცია
- ☐ მოკლევადიანი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია

აბსტინენციაზე ორიენტირებული მკურნალობა

საქართველოში აბსტინენციაზე ორიენტირებულ მკურნალობაში სპეციალიზებული 6 კლინიკა მოქმედებს, სადაც ტარდება ამბულატორიული და სტაციონარული დეტოქსიკაცია, შემდგომი მოკლევადიანი პირველადი რეაბილიტაციით. კლინიკებიდან ხუთი მდებარეობს თბილისში, ხოლო ერთი - ბათუმში.

ქვეყანაში მოქმედებს წამალდამოკიდებულების მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობს ექვსივე კლინიკა, მაგრამ ისინი დაფინანსებას იღებენ პაციენტთა ლიმიტირებულ რაოდენობაზე. წლის განმავლობაში, საშუალოდ, 300 პაციენტი იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, ხოლო დანარჩენი ნაწილი თავად ანაზღაურებს მკურნალობის ხარჯებს.

ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია

ოპიოიდებით ჩანაცვლების თერაპია საქართველოში 2005 წელს დაიწყო და დღეს მომსახურების მიწოდება სამი სხვადასხვა სუბიექტის მიერ ხორციელდება:

- ☐ გლობალური ფონდის პროექტი
- ☐ ჩანაცვლებითი მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა
- ☐ კერძო სექტორი

ქვეყანაში ჩანაცვლებითი მკურნალობის ორი განსხვავებული ტიპია ხელმისაწვდომი:

1. მეტადონის ჩანაცვლების პროგრამა
2. პროგრამა ბუპრენორფინის პრეპარატების გამოყენებით

რაც შეეხება პროგრამებსა და მათ ხელმისაწვდომობას, საქართველოში რამდენიმე პროგრამა ფუნქციონირებს:

სახელმწიფო პროგრამა, რომელიც თანადაფინანსების პრინციპით ხორციელდება. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ოპიოიდების ჩანაცვლებითი თერაპიის 12 პროგრამა მოქმედებს; მათგან 6 თბილისში, ხოლო თითო-თითო ფოთში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, ოზურგეთსა და თელავში.

თბილისში ასევე მოქმედებს სუბოქსონით ჩანაცვლებითი მკურნალობის ერთი კერძო პროგრამა.

გლობალური ფონდი უზრუნველყოფს ჩანაცვლებითი მკურნალობის ექვსი ცენტრის მოქმედებას. ექვსივე ცენტრში მკურნალობა უფასოა. მათგან ორი მდებარეობს თბილისში, ერთი - გორში; ერთი - ბათუმში და ორი - თბილისისა და ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

გლობალური ფონდის დაფინანსებით ქვეყანაში მოქმედებს სამი ამბულატორიული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრი. ცენტრები ემსახურება როგორც ჩანაცვლებითი თერაპიის, ასევე აბსტინენციაზე ორიენტირებული მკურნალობის პაციენტებსა და ყოფილ ნარკომომხმარებლებს და სთავაზობენ ინდივიდუალურ, ჯგუფურ და ოჯახურ თერაპიას; ერგო- და არტ-თერაპიას, კომპიუტერულ კლასებს, რელიგიურ აქტივობებს, თანასწორთა მხარდაჭერას და ა.შ. ასევე მოქმედებს ნებაყოფლობითი ტესტირებისა და კონსულტირების მომსახურება.

6. მომსახურება

ამჟამად კლინიკები პაციენტებს სთავაზობენ სხვადასხვა მომსახურებას. მომსახურებების ასორტიმენტი პროექტის განხორციელების შემდეგ შეიცვლება, ზოგიერთი მათგანი დაკორექტირდება და დაიხვეწება, ზოგიერთი ჩანაცვლდება ახალი მეთოდებით. ასევე რამდენიმე კლინიკაში გათვალისწინებულია ახალი მომსახურების დამატება.

არსებული მომსახურება	ახალი მომსახურება
შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“	
* ფსიქიატრია ამბულატორია და სტაციონარი (მწვავე და გრძელვადიანი)	+ ჰოსპიტალგარეშე ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისის განვითარება
* ნარკოლოგია სტაციონარი და ამბულატორია	+ ნარკოლოგიასა და ფსიქიატრიაში ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია
* მეტადონით ჩანაცვლების თერაპია	
* ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია	
შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“	
* ფსიქიატრია ამბულატორია და სტაციონარი (მწვავე და გრძელვადიანი)	+ ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია
	+ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის გაძლიერება
შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“	
* ფსიქიატრია ამბულატორია და სტაციონარი (მწვავე და გრძელვადიანი)	+ ნარკოლოგიური ამბულატორიული სერვისი
* კრიზისული ინტერვენცია	+ მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპია
	+ ნარკოლოგიური და ფსიქიატრიული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისი
შპს „ალ. ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო“	
* ფსიქიატრია ამბულატორია და სტაციონარი (მწვავე და გრძელვადიანი)	+ გრძელვადიანი საცხოვრის ტიპის ფსიქიატრიული მომსახურება
	+ არსებული ამბულატორიული სერვისის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა
	+ ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია
	+ ნარკოლოგიური ამბულატორიული სამსახური
	+ მეტადონით ჩანაცვლების თერაპია
	+ ნარკოლოგიური დღის სტაციონარი
	+ ნარკოლოგიური და ფსიქიატრიული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისი
შპს „ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფო“	
* ფსიქიატრიული სტაციონარი	+ უპირატესად გრძელვადიანი საცხოვრის ტიპის ფსიქიატრიული მომსახურება
	+ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისი
შპს „რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური კლინიკური საავადმყოფო“	
* ფსიქიატრია ამბულატორია და სტაციონარი (მწვავე და გრძელვადიანი)	+ არსებული სერვისების გაძლიერება
* კრიზისული ინტერვენცია	+ ბავშვთა ფსიქიატრია

შპს "ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი"	
* ფსიქიატრია ამბულატორია და მწვავე სტაციონარი	+ არსებული სერვისების და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის გაძლიერება
* კრიზისული ინტერვენცია	+ ბავშვთა ფსიქიატრია
შპს „ნარკოლოგიური ცენტრი“	
	+ არსებული სერვისების გაძლიერება
	+ მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის გაფართოება
* ამბულატორია/სტაციონარი	+ ნარკომანიით დაავადებულ პირთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის დღის ცენტრის სერვისის შექმნა
* მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპია	
შპს „თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“	
	+ ნარკოლოგიური სტაციონარული სერვისის შექმნა
	+ არსებული ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისის დღის ცენტრის ტიპის მულტიდისციპლინური სერვისით ჩანაცვლება (ჩანაცვლებითი თერაპია, დღის სტაციონარი, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრი)
* ნარკოლოგიური	
* ამბულატორია	
* მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპია	
შპს „ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“	
	+ ნარკოლოგიური სტაციონარული სერვისის შექმნა
	+ არსებული ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისის დღის ცენტრის ტიპის მულტიდისციპლინური სერვისით ჩანაცვლება (ჩანაცვლებითი თერაპია, დღის სტაციონარი, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრი)
* ნარკოლოგიური	
* ამბულატორია	
* მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპია	


ცხრილი 3. პროექტში გათვალისწინებულ დაწესებულებებში არსებული მომსახურებისა და პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების ჩამონათვალი.

7. ინვესტიციები

პირველი საინვესტიციო წელი გათვლილია კვლევაზე და შემდგომი 5 წლის პროექტის განხორციელების დეტალური გეგმის შემუშავებაზე. პირველ წელს, ფონდი გეგმავს ობიექტების სიტუაციის შესწავლას, კვლევას, ანალიზის, ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციას და ა.შ. მეორე წლიდან დაიწყება გეგმის 5 წლიანი განხორციელების პროცესი.

პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 11 500 000 ლარს. ამ თანხის გამოყენება მოხდება შემდეგი მიმართულებებით:

- სარემონტო სამუშაოები - გარემონტდება შენობა-ნაგებობი, რასაც მოხმარდება 5 726 000 ლარი; სავენტილაციო სისტემები - 1 145 000 ლარის ინვესტირება იგეგმება სავენტილაციო სისტემების განახლებასა და მონტაჟში; დაგეგმვა და დაპროექტება - 5 წლის განმავლობაში დაგეგმვისა და დაპროექტების პროცესი უწყვეტი იქნება, რისთვისაც განსაზღვრულია 368 000 ლარი;
- გარე პერიმეტრის მოწყობა - პაციენტებისათვის მოეწყობა სკვერი, სათამაშო მოედნები და ა.შ. რისთვისაც გამოყოფილია 1 643 000 ლარი
- საწოლების ღირებულება - პროექტის ფარგლებში უნდა მოხდეს 397 საწოლის შეძენა, აქედან ძირითადი ნაწილის შეძენა ხდება იმ მიზნით, რომ განახლდეს მოძველებული და გამოუსადეგარი საწოლები, ჯამურად მათ შესაძენად დაიხარჯება 405 000 ლარი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - ავეჯისა და სხვა ინვენტარის შესაძენად გათვალისწინებულია 275 000 ლარი
- სატრანსპორტო საშუალებები - პროექტის განხორციელების ფარგლებში უნდა მოხდეს მინიმუმ სამი სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენა, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 162 000 ლარს
- პერსონალის გადამზადება - 2018-2020 წლებში იგეგმება პერსონალის საფუძვლიანი გადამზადება, რისთვისაც გამოყოფილია, 486 000 ლარის ინვესტიცია;
- სხვა ხარჯები - პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია განუსაზღვრელი ხარჯების არსებობა, რომლის ბიუჯეტიც შეადგენს 1 285 000 ლარს.



გრაფიკი 1. ინვესტიციების პროცენტული ჩაშლა წლების მიხედვით.

როგორც გრაფიკიდან ვხედავთ პირველ და ბოლო წელს ინვესტიცია ყველაზე მცირეა, რადგან სამუშაოს ძირითადი ნაწილი 2020 და 2021 წელს განხორციელდება.

შეჯამება

“ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარების ფონდი” იმედოვნებს, რომ სახელმწიფოს თანადგომითა და თანამონაწილეობით მოხდება “ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სისტემური და ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციის პროექტი”-ს განხორციელება.



ვინაიდან პროექტი ორიენტირებულია გრძელვადიან ხედვაზე და არ შემოიფარგლება რამდენიმეწლიანი გეგმებით, ის სარგებლის მომტანი იქნება როგორც

უშუალოდ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის სფეროსთვის, ასევე საზოგადოებისათვის.

ფონდი ნათლად და მკაფიოდ ხედავს პროექტის წარმატებას და მისი ზრდისა და განვითარების უაღრესად დადებით ეფექტებს, რაც საქართველოს წინსვლისა და საერთაშორისო ასპარეზზე დაწინაურების წინაპირობაა.

